სახელმწიფო ინსპექტორის

ბრძანება №4

2019 წლის 26 სექტემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის თანდართული წესი.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

სახელმწიფო ინსპექტორი **ლონდა თოლორაია**

დანართი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე მიღების (მათ შორის კონკურსის ჩატარების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესს) და სამსახურის გავლის წესსა და პირობებს (მათ შორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, მათი შეფარდებისა და მოხსნის წესს, ასევე დისციპლინური წარმოების წესს).

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ამ წესიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის პრინციპები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლა ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის II თავით დადგენილ საჯარო სამსახურის პრინციპებსა და ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის პრინციპებს.

თავი II. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობათა რანგირება

მუხლი 3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობათა რანგირება

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში:

ა) პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე;

ბ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე;

გ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტი;

დ) მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტი.

2. პირველი რანგი არის ყველაზე მაღალი იერარქიული რანგი, ხოლო მეოთხე რანგი – ყველაზე დაბალი იერარქიული რანგი.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობების დასახელებები განისაზღვრება ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სამსახურის საშტატო ნუსხით, ამასთან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რანგებში განაწილება ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით, სამსახურის საშტატო ნუსხით.

4. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი III. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის საჭირო კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 4. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) მიაღწია 18 წლის ასაკს.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლად არმიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) პირი, რომლის მიმართაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ) პირი, რომელიც საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული;

დ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;

ე) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ვ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ზ) პირი, რომელმაც სამსახურში მიღების პროცესში შეგნებულად დამალა მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან წარადგინა არასწორი მონაცემები.

მუხლი 5. სპეციალური მოთხოვნები და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. გამომძიებლის თანამდებობის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სხვა თანამშრომლისა და სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანამშრომლის თანამდებობისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები (განათლების დონე და გამოცდილება) დგინდება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს სახელმწიფო ინსპექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით.

მუხლი 6. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) ასაკობრივი შეზღუდვა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურის გავლის ზღვრული ასაკია:

ა) საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 55 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 60 წელი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 65 წელი.

2. სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უფროსი (მხოლოდ იუსტიციის უფროსი მრჩეველი) და უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს საკუთარი სურვილით და სახელმწიფო ინსპექტორის თანხმობით, შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურის ვადა ზღვრულ ასაკს ზევით 5 წლამდე ვადით.

მუხლი 7. სამსახურის ვადა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე პირი განუსაზღვრელი ვადით ინიშნება, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში ამ წესის 29-ე მუხლით დადგენილი ვადით მიიღება

სტაჟიორ-გამომძიებელი.

მუხლი 8. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე, გარდა ამ წესის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ასევე გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანამშრომლის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მობილობის განხორციელებისა.

2. პირი სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის თანამდებობაზე ინიშნება ღია კონკურსის საფუძველზე, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე, მეორე და პირველი რანგის თანამშრომლის თანამდებობაზე, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, პირი ასევე შესაძლებელია დაინიშნოს:

ა) დახურული კონკურსის საფუძველზე, რაც გულისხმობს კონკურსის გზით შესაფერისი კანდიდატის შერჩევას საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით;

ბ) სამსახურის შიდა კონკურსის საფუძველზე, რაც გულისხმობს კონკურსის გზით შესაფერისი კანდიდატის შერჩევას სამსახურის მოქმედი თანამშრომლებისაგან და სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრიდან.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადების წესი

1. კონკურსის გამოცხადების საფუძველია სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის არსებობა.

2. სამსახური, ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღია და დახურულ კონკურსს აცხადებს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, ხოლო ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურის შიდა კონკურსს – სამსახურის მოქმედი თანამშრომლების სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტებზე და სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში მითითებულ სტაჟიორ-გამომძიებელთა ელექტრონულ ფოსტებზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

3. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური უფლებამოსილია, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, კონკურსის სახის გათვალისწინებით, დამატებით განათავსოს სამსახურის ვებგვერდზე, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაბამის ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში.

მუხლი 10. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს და ინფორმაციას:

ა) სამსახურის დასახელებას;

ბ) ვაკანტური თანამდებობის დასახელებას;

გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

დ) ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ ფუნქციებს;

ე) ინფორმაციას თანამდებობრივი სარგოს შესახებ;

ვ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;

ზ) ინფორმაციას კანდიდატის შეფასების ფორმის შესახებ;

თ) შესაბამისი საკონკურსო კომისიის მისამართს;

ი) კონკურსის ეტაპებს;

კ) კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას;

ლ) ინფორმაციას კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი გადაწყვეტილების მიღების ფორმის შესახებ.

2. სამსახურის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, კონკურსის შესახებ შეტყობინებაში აისახოს სხვა ინფორმაციაც.

მუხლი 11. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში ცვლილების შეტანა

1. სამსახური უფლებამოსილია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შეიტანოს ტექნიკური ხასიათის შესწორება ან/და არსებითი ხასიათის ცვლილება.

1^1. კონკურსის შესახებ შეტყობინებაში ცვლილებების შეტანად არ ჩაითვლება ამ წესის მე-20 მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

2. სამსახური ვალდებულია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესწორება ან/და ცვლილება შეიტანოს იმავე წესით, რაც დადგენილია კონკურსის გამოცხადებისათვის.

3. კონკურსის შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილების შეტანა გულისხმობს სამსახურის მიერ ახალი კონკურსის გამოცხადებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამსახური ვალდებულია, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, არსებითი ცვლილებისა და კონკურსის ახალი ვადების შესახებ ინფორმაცია გაუგზავნოს იმ კანდიდატებს, რომლებსაც უკვე გაკეთებული აქვთ განაცხადი კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილებების შეტანამდე.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონკურსის გამოცხადებისას კანდიდატს ახალი განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 5 კალენდარული დღის ვადა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 12. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა

1. ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღია და დახურულ კონკურსში მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, ხოლო ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურის შიდა კონკურსის შემთხვევაში – სამსახურის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის გზით.

2. კანდიდატი ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

3. კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღის ვადა.

4. კანდიდატი უფლებამოსილია, განაცხადში შეიტანოს ცვლილება სამსახურის მიერ განაცხადების წარდგენისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 13. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

1. ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დახურულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მოქმედ მოხელეს, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, თუ იგი არანაკლებ 1 წელია მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში და აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურის შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სამსახურის მოქმედ თანამშრომელს, რომელსაც არ გააჩნია მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში მყოფ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 14. საკონკურსო კომისიის შექმნის წესი

1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი საკონკურსო კომისია.

2. სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია თავად იყოს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის თავმჯდომარედ დანიშნოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე/მოადგილე, ასევე იმ დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე, რომელშიც გამოცხადებულია კონკურსი.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 15. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორი.

2. გამომძიებლის დასანიშნად კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი მოსამსახურე;

ბ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი ან/და მეორე რანგის გამომძიებელი. თუ სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში პირველი ან მეორე რანგის გამომძიებლის პოზიცია ვაკანტურია, კომისიის შემადგენლობაში შეიყვანება სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულის პირველი ან/და მეორე რანგის საჯარო მოხელე;

გ) სისხლის სამართლის სფეროს მოწვეული სპეციალისტი;

დ) ადამიანის უფლებათა სფეროს მოწვეული სპეციალისტი;

ე) სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განსაზღვრული სამსახურის სხვა თანამშრომლები.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის

თანამშრომლის (გარდა გამომძიებლისა) დასანიშნად კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი მოსამსახურე;

ბ) სამსახურის იმ დეპარტამენტის პირველი ან/და მეორე რანგის თანამშრომელი, რომელშიც გამოცხადებულია კონკურსი. თუ იმ დეპარტამენტში, რომელშიც გამოცხადებულია კონკურსი, პირველი ან მეორე რანგის თანამშრომლის პოზიცია ვაკანტურია, კომისიის შემადგენლობაში შეიყვანება სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულის პირველი ან/და მეორე რანგის საჯარო მოხელე;

გ) შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებული არ არის სამსახურთან;

დ) სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განსაზღვრული სამსახურის სხვა თანამშრომლები.

4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას.

5. კანდიდატი არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 16. საკონკურსო კომისიის წევრის აცილება

1. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე, წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ამ შემთხვევაში ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. თუ საკონკურსო კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ და ამის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, საკონკურსო კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 17. საკონკურსო კომისიის საქმიანობა

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

2. საკონკურსო კომისია, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს შეფასების ქულათა სისტემის საფუძველზე.

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. საკონკურსო კომისია, ამ წესის შესაბამისად, აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

5. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი,

თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე.

6. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, წერითი/ზეპირი დავალებისა და გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას.

6[1]. საკონკურსო კომისიამ შესაძლებელია გაითვალისწინოს პიროვნების საკვლევი ტესტის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კანდიდატის შეფასება განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

8. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრები. საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. საკონკურსო კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 18. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

2. კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს, ასევე კანდიდატის მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის განმავლობაში პიროვნების საკვლევი ტესტის გამოყენების საკითხს განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს სამსახური, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 19. კონკურსის პირველი ეტაპი

1. კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, ამ წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 დღისა, უზრუნველყოფს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი. კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით, დასაშვებია საკონკურსო კომისიის მიერ ამ ვადის გონივრული ვადით გაზრდა.

3. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს ადმინისტრაციული დეპარტამენტი წარუდგენს კომისიას, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით და დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით.

4. კონკურსის მომდევნო ეტაპამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე კომისია ვალდებულია ელექტრონულად აცნობოს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან შესაბამისობის შესახებ. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება კანდიდატის მიერ განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში.

5. კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია ვალდებულია კანდიდატისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში მიუთითოს მისი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზი.

6. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეტყობინებასთან ერთად კანდიდატს ეცნობება კონკურის მეორე ეტაპისა და პიროვნების საკვლევი ტესტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩატარების ვადა და ადგილი.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 20. კონკურსის მეორე ეტაპი და პიროვნების საკვლევი ტესტი

1. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

2. კანდიდატის შეფასება უნდა ემყარებოდეს კანდიდატის სამუშაო გამოცდილების ან/და მისი ზოგადი უნარებისა და პროფესიული ცოდნის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან და სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

3. კანდიდატის შეფასება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) წერითი ან/და ზეპირი დავალება (არასავალდებულო);

ბ) გასაუბრება (სავალდებულო).

4. წერითი ან/და ზეპირი დავალების შინაარსს, შეფასების კრიტერიუმებს, მაქსიმალურ და გამსვლელ ქულას განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორი. წერითი ან/და ზეპირი დავალების მაქსიმალური და გამსვლელი ქულების შესახებ ინფორმაცია აისახება კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში.

4^1. სტაჟიორ-გამომძიებელთა კონკურსის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორმა შესაძლებელია შეცვალოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წერითი ან/და ზეპირი დავალების გამსვლელი ქულა, რის თაობაზეც კანდიდატს ეცნობება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული შესაძლებლობის თაობაზე მითითებული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში.

5. კანდიდატის შეფასების მომდევნო ეტაპამდე არანაკლებ 3 დღით ადრე საკონკურსო კომისია ვალდებულია ელექტრონულად აცნობოს კანდიდატს შეფასების შედეგები და შეფასების შემდეგი

ეტაპისა და პიროვნების საკვლევი ტესტის ჩატარების დრო და ადგილი. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებული ამ პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება კანდიდატის მიერ წერითი ან/და ზეპირი დავალების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი შეფასების შედეგებს იგებს შესაბამისი დავალების დასრულებისთანავე.

5[1]. პიროვნების საკვლევი ტესტი შეიძლება ჩატარდეს კონკურსის მეორე ეტაპის განმავლობაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გასაუბრების ეტაპამდე. პიროვნების საკვლევი ტესტის შედეგები კანდიდატს ეცნობება წერილობითი ფორმით მოთხოვნის შემთხვევაში.

6. გასაუბრებაზე კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც დგება გასაუბრებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. საკონკურსო კომისიამ შესაძლებელია გაითვალისწინოს პიროვნების საკვლევი ტესტის შედეგები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

7. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა წარედგინება სახელმწიფო ინსპექტორს.

7[1]. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით.

8. კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

9. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატის შეფასების ზეპირი დავალების და გასაუბრების ეტაპები შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 21. კონკურსის შედეგები

1. საკონკურსო კომისია, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად, სახელმწიფო ინსპექტორს წარუდგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

2. საკონკურსო კომისია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად აცნობებს მის მიმართ ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღია და დახურული კონკურსისას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შიდა კონკურსის შედეგების შესახებ თითოეულ კანდიდატს ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

3. სამსახური ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღია და დახურული კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში.

მუხლი 22. კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება

კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) საკონკურსო კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

მუხლი 23. კონკურსის შეწყვეტის საფუძვლები

1. სამსახურის ან სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაციის,

ლიკვიდაციის, სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, არასაკმარისი საბიუჯეტო სახსრების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

2. სამსახური ვალდებულია, კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეატყობინოს კანდიდატებსა და ბიუროს.

მუხლი 24. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.

1[1]. პიროვნების საკვლევი ტესტის შედეგები არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, მოწვეული პირები).

4. პირი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

5. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

6. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

6[1]. შეფასების შედეგების შესახებ საჩივრის განხილვის მიზნით, საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტი ან/და დახმარებისთვის მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც ჰყავს შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტები.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

9. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან/წერითი ან/და ზეპირი დავალების შედეგების შეტყობინებიდან/გასაუბრების შედეგების შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა. ტესტური წერითი დავალების შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს ამ პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადა, რის შესახებაც კანდიდატს უნდა ეცნობოს შესაბამის დავალების შესრულებამდე.

11. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება კომისიის მიერ განიხილება გონივრულ ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო კომისიას.

12. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობისთანავე.

13. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 25. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსის მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. კანდიდატის დანიშვნა

1. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატს თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო ინსპექტორი.

2. თუ საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატი უარს განაცხადებს თანამდებობაზე დანიშვნაზე ან სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს თანამდებობაზე დანიშვნისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის თაობაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლილად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

3. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საკონკურსო კომისიის მიერ სახელმწიფო ინსპექტორისათვის სათანადო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 27. გამოსაცდელი ვადა

1. მოხელის სტატუსის არმქონე პირი ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება არაუმეტეს 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

2. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის (ამოცანის შესასრულებლად) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე უნდა მოხდეს გამოსაცდელი ვადის გამოყენების შედეგის შეფასება. შეფასების აქტი დგება წერილობითი ფორმით უშუალო უფროსის მიერ და დაერთვება პირის პირად საქმეს.

3. გამოსაცდელი ვადის დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ. გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში პირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან.

4. გამოსაცდელ ვადაში არ ჩაითვლება დროებითი შრომისუუნარობის ან სხვა საპატიო მიზეზით გაცდენილი დრო. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება საერთო შრომით სტაჟში.

5. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სტაჟიორ-გამომძიებელზე.

თავი IV. სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ სტაჟირების გავლა

მუხლი 28. სტაჟირების პროცესის ორგანიზება

1. სტაჟიორ-გამომძიებელს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განესაზღვრება სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც პირადად აკონტროლებს სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ გაწეულ მუშაობას.

2. სტაჟიორ-გამომძიებლისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, სამსახურში ადაპტაციის ხელშეწყობის და მისი ემოციური მხარდაჭერის მიზნით, სტაჟირების ხელმძღვანელი უფლებამოსილია სტაჟიორ-გამომძიებელს განუსაზღვროს მენტორი, რომელიც აკმაყოფილებს მენტორისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედებს მენტორობის პროგრამის შესაბამისად. მენტორობის პროგრამა მტკიცდება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სტაჟიორ-გამომძიებელს სტაჟირების დაწყების პირველ ეტაპზე შესაძლებელია ჩაუტარდეს პიროვნების საკვლევი ტესტი მისთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით.

4. სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ საქმიანობის პროცესში შესასრულებელი აქტივობების მინიმალური პროგრამა განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. სტაჟირების პროცესს კოორდინაციას უწევს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 29. სტაჟირების ვადა

1. სტაჟიორ-გამომძიებლის სტაჟირების საერთო ვადა განისაზღვრება ერთი წლით. სტაჟიორ-გამომძიებელს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სტაჟირების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამ პუნქტით გათვალისწინებული სტაჟირების ვადა შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 1 წლით.

2. სამსახურში ხანგრძლივად არყოფნის პერიოდი (ხანგრძლივ ავადმყოფობასთან დაკავშირებით, სამხედრო შეკრებაზე გაწვევა, ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული შვებულება, სასწავლო შვებულება და სხვ.) სტაჟირების ვადაში არ ჩაითვლება.

3. სტაჟირების ვადა ითვლება შრომით სტაჟში.

მუხლი 30. სტაჟიორ-გამომძიებლის უფლებები და ვალდებულებები

1. სტაჟიორ-გამომძიებელს უფლება აქვს:

ა) სტაჟირების ხელმძღვანელის/მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) სტაჟირების ხელმძღვანელის/მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ განახორციელოს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სახელმწიფო ინსპექტორის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამომძიებლის უფლებამოსილებები;

გ) სტაჟირების ხელმძღვანელთან/მენტორთან აქტიურად დასვას შეკითხვები საქმიანობასთან დაკავშირებით მისთვის აქტუალურ/ბუნდოვან საკითხებზე, მიმართოს სტაჟირების ხელმძღვანელს/მენტორს რჩევების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციის მისაღებად;

დ) სტაჟირების ხელმძღვანელს/მენტორს თავისუფლად მიაწოდოს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა მოსწონს და რის შეცვლას ისურვებდა პროგრამის თვალსაზრისით.

2. სტაჟიორ-გამომძიებელი ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს სტაჟირების ხელმძღვანელის/მენტორის მითითებები და

დავალებები;

ბ) დაიცვას მისი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;

გ) სტაჟირების ხელმძღვანელის/მენტორის მითითებით და მეთვალყურეობით შეასრულოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;

დ) უზრუნველყოს ამ წესის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების მინიმალური პროგრამის შესრულება;

ე) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების მიზნით სამსახურის მიერ შეთავაზებულ ღონისძიებებში;

ვ) შეასრულოს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შემოწმების მიზნით სამსახურის მიერ განსაზღვრული დავალებები;

ზ) სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, 3 თვეში ერთხელ, წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში სტაჟირების ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციულ დეპარტამენტს;

თ) სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით მისთვის გადაცემული სამსახურებრივი პირადობის მოწმობის, ჟეტონის, ფორმის, ასევე, ყველა მატერიალურ სიკეთისა და დოკუმენტაციის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

3. სტაჟიორ-გამომძიებელი, მისი თანხმობის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს სამსახურის ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან სხვა ქვედანაყოფში.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 31. სამსახურის, სტაჟირების ხელმძღვანელისა და მენტორის ვალდებულებები

1. სამსახური სტაჟიორ-გამომძიებელს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. სტაჟირების ხელმძღვანელი:

ა) ზრუნავს სტაჟიორ-გამომძიებლის პროფესიულ განვითარებაზე;

ბ) აძლევს დავალებებს, მიმართულებებს და განუსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადას, აწვდის აღნიშნულთან დაკავშირებით დროულ და სწორ ინფორმაციას;

გ) პირადად აკონტროლებს მის მიერ გაწეულ მუშაობას, აძლევს უკუკავშირს შესრულებული სამუშაოს შესახებ;

დ) აკონტროლებს, რომ სტაჟიორ-გამომძიებელს მიეცეს შესაძლებლობა სრულად შეასრულოს ამ წესის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა;

ე) აფასებს სტაჟიორ-გამომძიებელს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, სტაჟირების დაწყებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ, ასევე სტაჟირების ვადის გასვლისას (შემაჯამებელი შეფასება) და შეფასების ფორმას წარუდგენს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს;

ვ) ხელმძღვანელობას უწევს სტაჟირებისა და მენტორობის პროგრამის წარმატებით განხორციელებას;

ზ) ხელს უწყობს სტაჟიორ-გამომძიებლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას;

თ) ახორციელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მენტორი:

ა) ხელს უწყობს სტაჟიორ-გამომძიებელს სამსახურში ადაპტაციაში და აცნობს ორგანიზაციულ კულტურას;

ბ) უშუალოდ ერთვება სტაჟიორ-გამომძიებლის ყოველდღიურ საქმიანობაში სტაჟირების პროცესის შესაბამის ეტაპზე;

გ) ხელს უწყობს სტაჟიორ-გამომძიებელს ამ წესის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროგრამის შესრულებაში;

დ) უქმნის მოტივაციას სტაჟიორ-გამომძიებელს სამუშაოს შესრულებისა და ინიციატივების გამოჩენისთვის;

ე) მიმართავს სხვა საჭირო ზომებს სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ სამუშაოს შესრულებისას მისი დამოუკიდებლობის ხარისხი გაზრდის მიზნით.

4. სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ა) სტაჟიორ-გამომძიებელთან ერთად განიხილავს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგებს და ამ წესის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და სტაჟიორ-გამომძიებელზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს სახელმწიფო ინსპექტორს, საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს (შემდგომში – სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე) და ადმინისტრაციული დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს, ხოლო სტაჟირების საბოლოო შეფასებასთან დაკავშირებით - ასევე ამ წესის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შექმნილ კომისიას;

გ) უფლებამოსილია სტაჟიორ-გამომძიებლის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები;

დ) უფლებამოსილია სტაჟიორ-გამომძიებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შემოწმების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 32. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

გ) სტაჟიორ-გამომძიებლად მიღების პროცესში მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგნებულად დამალვა ან არასწორი მონაცემების წარდგენა;

დ) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობა;

ე) (ამოღებულია - 01.10.2020, №9);

ვ) პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შემოწმებისას მიღებული შეფასება ან/და მათში მონაწილეობაზე უარის თქმა;

ვ[1]) სტაჟირების ხელმძღვანელის მხრიდან ზედიზედ ორი არადამაკმაყოფილებელი შეფასება;

ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სტაჟირების ვადის შეწყვეტა განისაზღვრა;

თ) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

ი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

კ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ლ) (ამოღებულია - 01.10.2020, №9);

მ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა – გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მეორე დღიდან;

ნ) სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა.

2. სტაჟიორ-გამომძიებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე) მას შეუჩერდება სტაჟირება და სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით გადაყენებულ იქნება დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადაყენებულ სტაჟიორ-გამომძიებელს ჩამოერთმევა სამსახურებრივი მოწმობა და სამსახურის კუთვნილი სხვა ქონება. თანამდებობიდან გადაყენების მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ პირს ეკრძალება სამსახურის ფორმის ტანსაცმლის ტარება და სამსახურის სახელით მოქმედება. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში) პირი გააგრძელებს სტაჟირების გავლას ამ წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში სტაჟიორ-გამომძიებელს შეიძლება აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. მას უფლება აქვს უარი განაცხადოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ან/და შესაბამის თანამდებობაზე აღდგენაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ინსპექტორი, სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ან სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) წინადადების საფუძველზე.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 33. სტაჟირების შეფასება

1. სტაჟირების განმავლობაში სტაჟიორ-გამომძიებლის შეფასების ფორმებია:

ა) ამ წესის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება;

ბ) პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შეფასება

(არასავალდებულო);

გ) სტაჟიორ-გამომძიებლის სტაჟირების საერთო შეფასება კომისიის მიერ.

2. სტაჟიორ-გამომძიებლის პროფესიული განვითარების მიზნით, სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზებით, სტაჟიორ-გამომძიებლებს შესაძლებელია ჩაუტარდეთ ტრენინგები და სხვა სასწავლო აქტივობები, ხოლო პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შემოწმების მიზნით – შეფასებები წერითი ან/და ზეპირი ფორმით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ სტაჟიორ-გამომძიებლებს ეცნობებათ წინასწარ.

3. სტაჟიორ-გამომძიებლის სტაჟირების საერთო შეფასების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას და განსაზღვრავს მისი მუშაობის წესს.

4. სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ კომისია ატარებს გასაუბრებას და ახდენს სტაჟიორ-გამომძიებელთა შეფასებას. კომისია შეფასებისას ითვალისწინებს სტაჟირების მიმდინარეობისას სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ მიღებულ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეფასებებს.

5. კომისიას სტაჟიორ-გამომძიებელთა შეფასების შედეგების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა:

ა) სტაჟიორ-გამომძიებლის მიერ სტაჟირების პერიოდში შეძენილი კვალიფიკაციითა და უნარ-ჩვევებით შეესაბამება სამსახურის გამომძიებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) სტაჟიორ-გამომძიებელი სტაჟირების პერიოდში შეძენილი კვალიფიკაციითა და უნარ-ჩვევებით არ შეესაბამება სამსახურის გამომძიებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მიმართ შესაძლებელია მიღებულ იქნეს სტაჟირების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ რეგისტრირდებიან სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში.

7. სტაჟირების ვადის გაგრძელების შემთხვევაში სტაჟიორ-გამომძიებელი ფასდება ამ წესის შესაბამისად.

8. (ამოღებულია - 01.10.2020, №9).

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 34. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრი

1. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში, ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნამდე ან 3 წლის ვადით, შეიყვანება სტაჟიორ-გამომძიებელი, რომელმაც წარმატებით გაიარა სტაჟირება სამსახურში და არ აქვს სტაჟირების ვადა გაგრძელებული.

1^1. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში არ შეიყვანება ამ წესის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორ-გამომძიებელი, თუ მის მიმართ წარმოიშვა ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

2. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში მყოფ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურის შიდა კონკურსში.

3. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტით განსაზღვრული ფორმით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

თავი V

სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის წესი და პირობები

მუხლი 35. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) უფლება-მოვალეობები

სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო ინსპექტორის სამართლებრივი აქტებით, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 36. შრომის ანაზღაურება

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიიღოს შრომის ანაზღაურება. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე ამ პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლის შრომის ანაზღაურება შედგება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტებისგან.

3. (ამოღებულია - 01.10.2020, №9).

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს ეძლევა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 01.10.2020წ.

მუხლი 37. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის გადაყვანა

1. დასაშვებია სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისათვის იმავე იერარქიული რანგისა და თანამდებობის შესაბამისი სხვა ან/და ფუნქციურად მსგავსი უფლებამოსილებების მინიჭება (ჰორიზონტალური გადაყვანა).

2. ჰორიზონტალური გადაყვანა ხორციელდება გადასაყვანი გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ან საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის თანხმობით, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 38. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) წოდებები და სპეციალური აღრიცხვა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის

თანამშრომელთა (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სპეციალური წოდებები განისაზღვრება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. პირველადი სპეციალური წოდების მინიჭებისა და თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) იხსნება სამხედრო აღრიცხვიდან, რის შემდეგაც იმყოფება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სპეციალურ აღრიცხვაზე.

მუხლი 39. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლების არსი

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლებაზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან თავისუფლდება სახელმწიფო ინსპექტორის მიერ.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 40. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ბ) სამსახურში მიღების პროცესში სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) მიერ მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგნებულად დამალვა ან არასწორი მონაცემების წარდგენა;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

დ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა – გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მეორე დღიდან;

ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება განისაზღვრა;

ზ) ამ წესის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირის არადამაკმაყოფილებელი შედეგით შეფასება;

თ) სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

ი) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

კ) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევა;

ლ) თუ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული პირისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობას - წელთა ნამსახურობის ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

მ) გარდაცვალება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

მუხლი 41. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძვლები

სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) სამსახურის ან/და საგამოძიებო დეპარტამენტის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის ან კალენდარული წლის განმავლობაში 6 თვის გამოუცხადებლობის შემთხვევაში;

დ) თუ დარღვეულია სამსახურში მიღებისათვის ამ წესით დადგენილი მოთხოვნები (რასაც საფუძვლად უდევს დანიშნული პირის უკანონო ქმედება) ან თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ე) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 42. თანამდებობიდან დროებით გადაყენება

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) სათანადო დასკვნის ან სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანებით შეიძლება დროებით გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული ბრძანება გამოიცემა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სასამართლოს განჩინება სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

2. თანამდებობიდან გადაყენებული სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა), გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს ადრე დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – ტოლფას თანამდებობაზე. გამართლების შემთხვევაში აღნიშნულ პირს შეიძლება აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნულ პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ან/და შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის/დანიშვნის თაობაზე.

3. თანამდებობიდან გადაყენებულ სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) ჩამოერთმევა სამსახურებრივი მოწმობა, ცეცხლსასროლი იარაღი, სპეციალური საშუალებები და სამსახურის კუთვნილი სხვა ქონება. თანამდებობიდან გადაყენების მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ პირს ეკრძალება სამსახურის ფორმის ტანსაცმლის ტარება და სამსახურის სახელით მოქმედება.

მუხლი 43. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) შვებულება

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა არის 30 კალენდარული დღე. შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწილ-ნაწილ. წლის ბოლოს აღებული შვებულება შესაძლებელია გაგრძელდეს მომდევნო წელს. მომდევნო წელს გაგრძელებული შვებულება ჩაითვლება წინა წლის შვებულებად ამ პუნქტით გათვალისწინებული შვებულების ხანგრძლივობის ფარგლებში.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს ერთი კალენდარული წლისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით შეიძლება მიეცეს სასწავლო შვებულება 3 კალენდარულ თვემდე ვადით.

4. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) შვებულების უფლება წარმოეშობა სამსახურში მიღებიდან/დანიშვნიდან 11 თვის შემდეგ. უშუალო უფროსთან შეთანხმებით, შესაძლებელია ამ უფლებით სარგებლობა აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

6. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) გამოძახება სამსახურის გასაგრძელებლად.

თავი VI

სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესი

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 44. დისციპლინური წარმოების მიზანი და პრინციპები

1. დისციპლინური წარმოების მიზანია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა და დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.

2. არავის არ შეიძლება განმეორებით შეეფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი არ შეიძლება მონაწილეობდეს დისციპლინურ წარმოებაში, თუ მას აქვს პირადი

ინტერესი ან/და არსებობს სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე.

4. დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს.

5. პირი არ ჩაითვლება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირად მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 45. დისციპლინური გადაცდომა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) სამსახურის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დარღვევა;

გ) ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია სამსახურის თანამშრომლისა და სამსახურის დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ;

დ) სამსახურისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა;

ე) სახელმწიფო ინსპექტორის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის/სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებების/რეკომენდაციების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ვ) უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ზ) ფიცის გატეხვა.

2. დისციპლინური გადაცდომა იყოფა კატეგორიებად:

ა) მსუბუქი გადაცდომა;

ბ) საშუალო გადაცდომა;

გ) მძიმე გადაცდომა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 46. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ვ) დაქვეითება;

ზ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ა.ა) შენიშვნა;

ა.ბ) საყვედური;

ა.გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ა.დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ა.ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით.

ბ) სახელმწიფო ინსპექტორის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის/სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებების/რეკომენდაციების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ, საშუალო ან მძიმე გადაცდომად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ბ.ა) შენიშვნა;

ბ.ბ) საყვედური;

ბ.გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ბ.დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ბ.ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ბ.ვ) დაქვეითება;

ბ.ზ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

გ) უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

გ.ა) შენიშვნა;

გ.ბ) საყვედური;

გ.გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

გ.დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

გ.ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით.

დ) სამსახურის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დარღვევა, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

დ.ა) შენიშვნა;

დ.ბ) საყვედური;

დ.გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

დ.დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

დ.ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით.

ე) ეთიკის კოდექსის დარღვევა, გამოხატული შეუფერებელი საქმიანობით, ფასდება მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ე.ა) საყვედური;

ე.ბ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ე.გ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ე.დ) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ე.ე) დაქვეითება;

ე.ვ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

ვ) ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია სამსახურის თანამშრომლისა და სამსახურის დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ, ფასდება მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ვ.ა) საყვედური;

ვ.ბ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ვ.გ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ვ.დ) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ვ.ე) დაქვეითება;

ვ.ვ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

ზ) სამსახურისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ, საშუალო ან მძიმე გადაცდომად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ზ.ა) შენიშვნა;

ზ.ბ) საყვედური;

ზ.გ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ზ.დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ზ.ე) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ზ.ვ) დაქვეითება;

ზ.ზ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

თ) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა მიიჩნევა მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

თ.ა) საყვედური;

თ.ბ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

თ.გ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

თ.დ) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

თ.ე) დაქვეითება;

თ.ვ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა;

ი) ფიცის გატეხა ფასდება მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოიყენება:

ი.ა) საყვედური;

ი.ბ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითება;

ი.გ) სახელმწიფო სპეციალური წოდების ჩამორთმევა;

ი.დ) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

ი.ე) დაქვეითება;

ი.ვ) სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 47. შესაფარდებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის პრინციპები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით;

ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე;

გ) მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;

დ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები;

ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი;

ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა;

ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მცდელობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი;

თ) სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე.

3. თანამშრომლის მიერ ჩადენილი ერთი და იმავე გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

4. თანამშრომლის მიერ ორი ან მეტი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამსახურიდან გათავისუფლება/სტაჟირების ვადის შეწყვეტა.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების განმავლობაში ახალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ წესის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულზე უფრო მძიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

6. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოიყენება გადაცდომის ფაქტის დადგენის (აღმოჩენის) დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. ამ ვადაში არ შედის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის ავადმყოფობისა და შვებულებაში ყოფნის დრო, ასევე თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს მიერ სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვის დრო. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ გამოიყენება, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 3 წელი.

7. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების მიუხედავად, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც დისციპლინური გადაცდომის შედეგად მიადგა სამსახურს, თუ ეს გადაცდომა მან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 48. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების ვადა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ ითვლება, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებიდან გასულია 1 წელი და მას არ შეეფარდება ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სახელმწიფო სპეციალურ წოდებაში ერთი საფეხურით დაქვეითების ან დაქვეითების გამოყენების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლა არ იწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებამდე არსებული წოდებრივი/თანამდებობრივი მდგომარეობის აღდგენას.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ღონისძიებები, გარდა წახალისების ფორმად დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადამდე მოხსნის გამოყენებისა;

ბ) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს არ ენიჭება მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდება;

გ) დაუშვებელია სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის დაწინაურება.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება მოხსნილ იქნეს ვადაზე ადრე:

ა) თუ სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა;

ბ) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ წახალისების ფორმად დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადამდე მოხსნის გამოყენების შემთხვევაში.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოხსნის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინახება სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის პირად საქმეში.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 49. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) თანამშრომლის განცხადება/მოხსენებითი ბარათი დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/დარღვევის თაობაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობა;

გ) სამსახურში განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუდიტის, ინსპექტირების ან/და მონიტორინგის შედეგები;

დ) მოქალაქის საჩივარი/განცხადება;

ე) მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია;

ვ) საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაცია;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.) გავრცელებული ინფორმაცია;

თ) სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინება;

ი) სამსახურში არსებული ელექტრონული პროგრამების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსი.

3. დისციპლინური წარმოება იწყება დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან 3 წელი არ არის გასული.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 50. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილება

1. დისციპლინური წარმოების ფარგლებში, სამსახურებრივ შემოწმებას ახორციელებს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მიერ განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე თანამშრომელი. სამსახურებრივი შემოწმებისას სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანამშრომელი უფლებამოსილია:

ა) თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე თანამშრომელს მიმართოს სამსახურის გენერალურ ინსპექციაში (დეპარტამენტი) გამოცხადების ან/და ახსნა-განმარტების მიცემის მოთხოვნით, ასევე წერილობითი ან ზეპირი ფორმით აუცილებელი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნით;

ბ) მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

გ) ჩამოართვას ახსნა-განმარტება ან/და მიიღოს ინფორმაცია იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან სამსახურის თანამშრომლები, მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე;

დ) დაათვალიეროს თანამშრომლის სამუშაო ოთახი და ინვენტარი;

ე) ისარგებლოს საქმისწარმოებისა და სხვა ელექტრონული პროგრამით, ასევე სამსახურის მონაცემთა ბაზებით და განახორციელოს მათი მონიტორინგი;

ვ) მოითხოვოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისათვის დახმარება სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულისგან/მოსამსახურისგან;

ზ) განსახილველ საკითხზე კონსულტაციებისა და საექსპერტო დასკვნების მოსაპოვებლად, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსთან შეთანხმებით, მოითხოვოს მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობა, აგრეთვე ისარგებლოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დახმარებით;

თ) განახორციელოს მონიტორინგი სამსახურის ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ ელექტრონული სამსახურებრივი მოწმობის წამკითხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებზე;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს მონიტორინგი ვიდეოთვალთვალის სისტემით მეშვეობით;

კ) მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადასტუროს დისციპლინური გადაცდომის არსებობა ან არარსებობა, განსაზღვროს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შეადგინოს დასკვნა და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსს;

ლ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორთან შეთანხმებით, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსი მოპოვებულ მასალებს დადგენილი წესით უგზავნის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

3. სამსახურის გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. სამსახურის გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) ანგარიშვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის წინაშე.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 51. დისციპლინური წარმოება

1. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს დისციპლინური წარმოების დაწყებიდან ან პირის იდენტიფიცირებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტყობინებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს დისციპლინური წარმოების განხორციელების ინტერესებს.

2. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს განუსაზღვრავს წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენის ვადას.

3. თუ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მიერ წარდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტება არასრულია ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენაა აუცილებელი, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი მას დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე და განუსაზღვრავს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვადას.

4. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს მას დისციპლინური წარმოების წესი და საქმის მასალები.

5. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია დისციპლინურ წარმოებაში ჩართოს ის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესახებ და შეუძლია წერილობით ან ზეპირად წარადგინოს ახსნა-განმარტება (მოწმე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახსნა-განმარტების წარდგენა ეწინააღმდეგება ამ პირის (მოწმის) ან მისი ოჯახის წევრის ინტერესებს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია სამსახურის გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი) მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული, სწორი და ამომწურავი ინფორმაცია.

7. სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია დისციპლინური წარმოებისას დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირი ჩამოაშოროს სამსახურს. ასეთი საფუძვლით სამსახურს ჩამოშორებულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

8. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი დისციპლინური წარმოების დროს მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად ადგენს დასკვნას:

ა) დისციპლინური გადაცდომის არსებობისა და პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მიერ რეკომენდაციით მიმართვის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შეუძლებლობის შესახებ;

ბ) დისციპლინური გადაცდომის არარსებობის შესახებ.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში უნდა აღინიშნოს:

ა) დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის სახელი და გვარი, დაკავებული თანამდებობა;

ბ) სამსახურებრივი ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც არ შეასრულა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენმა პირმა;

გ) დისციპლინური გადაცდომის აღწერა, ჩადენის დრო და ადგილი;

დ) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) მიერ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით მოპოვებული სხვა ინფორმაცია;

ე) პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომის შეფარდების, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მიერ რეკომენდაციით მიმართვის ან

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შეუძლებლობის შესაბამისი დასაბუთება.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში უნდა აღინიშნოს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) მიერ მოპოვებული ინფორმაცია და დისციპლინური გადაცდომის არარსებობის შესაბამისი დასაბუთება.

11. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი დასკვნას ადგენს დისციპლინური წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომელი დასკვნას წარუდგენს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსს.

12. თუ დისციპლინური გადაცდომისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი ვადა, სამსახურის გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი (უფროსი) ერთთვიანი ვადის გასვლამდე 5 სამუშაო დღით ადრე იღებს გადაწყვეტილებას ვადის დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული ვადა არ ვრცელდება თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს მიერ სამსახურის გენერალური ინსპექციისათვის (დეპარტამენტი) დასკვნის შენიშვნებით დაბრუნების შემთხვევაში სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დასკვნის გადამუშავებაზე.

14. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის თანხმობით, სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა ეგზავნება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს (მისი არსებობის შემთხვევაში) და სახელმწიფო ინსპექტორს.

15. სახელმწიფო ინსპექტორი სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე დასკვნას განსახილველად გადასცემს თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 52. (ამოღებულია)

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 53. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება

1. დისციპლინური გადაცდომის საკითხთან დაკავშირებით თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს რეკომენდაციის მიღებიდან ან საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით გადამუშავებული სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, სახელმწიფო ინსპექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;

ბ) მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში – სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თუ დისციპლინური წარმოების შედეგად არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის არსებობა, სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტაზე.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინახება სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის პირად საქმეში.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 54. დისციპლინური წარმოების შეჩერება და შეწყვეტა

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) შესაბამისი თანამშრომლის მოტივირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის თანხმობით, დისციპლინური წარმოება შეიძლება შეჩერდეს იმ გადაულახავი გარემოებების აღმოფხვრამდე, რომელთა გარეშე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება, მაგრამ არაუმეტეს ამ წესის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისა. დისციპლინური წარმოება ასევე შესაძლებელია შეჩერდეს, თუ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მიმართ იმავე ქმედების გამო დაწყებულია სისხლის სამართლის საქმის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

2. სასამართლოს მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას.

3. სასამართლოს მიერ შესაბამისი გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას.

4. დისციპლინური წარმოება წყდება, თუ აღარ არსებობს დისციპლინური წარმოების ობიექტური საფუძველი, რის შესახებაც შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსი, სახელმწიფო ინსპექტორთან შეთანხმებით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 17.12.2019წ.

მუხლი 55. სამსახურის გენერალურ ინსპექციასთან (დეპარტამენტი) თანამშრომლობის წესი

საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის მიერ ჩადენილი სავარაუდო დარღვევის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ სამსახურის გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი). ინფორმაციის წარუდგენლობა, თუ ეს ინფორმაცია მათთვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იწვევს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მუდმივმოქმედი ორგანო

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 06.05.2020წ.

მუხლი 56. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭო

1. სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ფორმასა და წახალისებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, ასევე დისციპლინური გადაცდომის საკითხებსა და საბოლოო შეფასების შედეგებთან დაკავშირებულ

თანამშრომელთა საჩივრებს განიხილავს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანო – თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭო.

2. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს მუშაობის წესი განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს გადაწყვეტილებით და დამსწრე პირთა თანხმობით შესაძლებელია საბჭოს სხდომის აუდიო/ვიდეოჩაწერა.

4. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას წახალისების ფორმასა და წახალისებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ასევე წახალისებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით;

ბ) დისციპლინური გადაცდომის საკითხებთან დაკავშირებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ბ.ა) დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ;

ბ.ბ) დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ.გ) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების ნაცვლად სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მიერ რეკომენდაციით მიმართვის თაობაზე;

ბ.დ) სამსახურის გენერალური ინსპექციისათვის (დეპარტამენტი) დასკვნის შენიშვნებით დაბრუნების შესახებ;

გ) თანამშრომლის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

გ.ა) საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ.ბ) საჩივრის დაკმაყოფილების/ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და შესაბამისად შეფასების შედეგის ცვლილების შესახებ;

გ.გ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეფასების შედეგის უცვლელად დატოვების შესახებ.

5. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და წარედგინება სახელმწიფო ინსპექტორს.

6. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორი სამსახურის გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი) უბრუნებს დასკვნას გადასამუშავებლად.

7. თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საბოლოოა.